ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2705118

ნომერი: AR1410087

თარიღი : 02.06.2016

გაცემის თარიღი : 11.07.2016

გაცნობის თარიღი : 11.07.2016

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი რუსთაველი , N 18 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ბესრიონ გეწაძე პ/ნ 01017006225
- ქ. თბილისი, დ.დიღომი, 4 მ/რ, კორპ. 29, ბინა 40

ნომენკლატურა :

- მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები (ექსტერიერისა და ინტერიერის სარესტავრაციო, სარემონტო და გაწმენდის სამუშაოები)
- II კლასი
- ძეგლზე ჩასატარებელი სამუშაოები
- მშენებლობის ნებართვა

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: სს "ვითიბი ბანკი ჯორჯია"
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 202906427
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: მამუკა მენთეშაშვილი
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01024025470

.კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის არქიტექტურული პროექტი:

- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: ნიკოლოზ კრაწაშვილი

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული განაცხადი, რომელიც ეხება ქ. თბილისში, რუსთაველის გამზ. N18-ში (უძრავი ძეგლი), არსებული შენობის უკანა ფასადზე კონდიციონერის გარე ბლოკის მოწყობის ნებართვის გაცემის საკითხს.

გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ არ იქნა სრულყოფილად გამოსწორებული სამსახურის 06.07.2016 წლის №2687706 გადაწყვეტილებით დადგენილი ხარვეზები კერძოდ:

- არ არის წარმოდგენილი საბჭოს რეკომენდაციის შესაბამისი საპროექტო დოკუმენტაცია;
- ხმაურის დასაშვებ დონესთან შესაბამისობის დამადასტურებელი დასკვნა წარმოდგენილია კონკრეტულ ბინასთან მიმართებაში, ხოლო წარმოდგენილი პროექტის შესაბამისად აგრეგატის განთავსება ხდება საერთო საკუთრებაში არსებულ ეზოში და წარმოდგენილი დასკვნით ვერ დგინდება ხმაურის დონის დასაშვებთან შესაბამისობა ეზოსა და სხვა სათავსებში.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური თქვენს მოთხოვნას, ქ.თბილისში, რუსთაველის გამზ. N18-ში (უძრავი ძეგლი), არსებული შენობის უკანა ფასადზე კონდიციონერის გარე ბლოკის მოწყობის ნებართვის გაცემის თაობაზე ვერ დააკმაყოფილებს.

სრულყოფილი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში სამსახურის მიერ საკითხი განმეორებით იქნება განხილული.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.